



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,  
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030146852503122

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge  
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/8444

28 / მარტი / 2022 წ.

FactCheck .ge -ის რედაქტორს  
ბატონ მალხაზ რეხვიაშვილს  
teonaabsandze@gmail.com

ბატონო მალხაზ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მიმდინარე წლის 18 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული თქვენი N13 წერილის პასუხად, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია უკრაინის მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული სერვისების თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

"უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის N387 განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ამ განკარგულებით განსაზღვრული უკრაინის მოქალაქეებისთვის, გადაუდებელი საჭიროების სამედიცინო სერვისების, ასევე კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) ტესტირების, (COVID-19)-ის მკურნალობისა და (COVID-19)-ის სანინააღმდეგო ვაქცინაციის უსასყიდლოდ მიწოდების უზრუნველყოფა.

ასევე, გაცნობებთ სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ სხვა სერვისებს:

**ფსიქოლოგიურ-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების ცენტრი:**

თბილისში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიურ-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურების ცენტრი, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის ხელახალი ტრავმის პრევენცია, ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაცია, ფსიქოლოგიური/სოციალური რეაბილიტაცია და შემთხვევის მონიტორინგი.

**სოციალური მუშაკის მხარდაჭერა:**

სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებს უწევთ კანონიერ წარმომადგენლობას, რაც გულისხმობს ბავშვების საჭიროებების იდენტიფიცირებას, მათ მხარდაჭერას და გადამისამართებას შესაბამის სერვისებში, მათ შორის:

- პირადი დოკუმენტაციების მონესრიგება;
- ზოგადსაგანმანათლებლო/სკოლამდელ დაწესებულებაში ჩარიცხვა;
- სარეაბილიტაციო სერვისებში გადამისამართება, ფსიქოლოგის/ფსიქიატრის ჩართვის უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, კომუნიკაცია შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებთან;
- მიმღები მშობლების ან მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელების მხრიდან განხორციელებული ზრუნვისა და ბავშვების უსაფრთხოების მონიტორინგი;
- ბიოლოგიურ ოჯახთან კომუნიკაციის ხელშეწყობა;

## **ტრეფიკინგის, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი:**

საქართველოში ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა 5 (თბილისი, სიღნაღი, ბათუმი, ქუთაისი, გორი) თავშესაფარი ფუნქციონირებს, რომელიც ბენეფიციარებს სთავაზობს როგორც საცხოვრებელს/თავშესაფარს, ასევე, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ მხარდაჭერას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას/მიღებას. თავშესაფარში შესაძლებელია პირის დამოკიდებულ პირებთან ერთად განთავსება. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით სარგებლობისათვის აუცილებელია პირს მინიჭებული ქონდეს მსხვერპლის სტატუსი, რომელიც ოთხი სხვადასხვა გზით მოიპოვება:

- მოძალადის მიმართ გამონერილია შემაკავებელი ორდერი;
- მოძალადის მიმართ გამონერილია დამცავი ორდერი;
- პირი სესაბამისი ორგანოს მიერ ცნობილია დაზარალებულად ოჯახში ძალადობის/გენდერული; ნიშნით ძალადობის საქმესთან დაკავშირებით;
- სტატუსი განესაზღვრა სპეციალური ჯგუფის მიერ;

## **ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრები:**

ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა (მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა) 5 კრიზისული ცენტრი (თბილისი, მარნეული, გორი, ქუთაისი, გურია), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც ფსიქოლოგის, ასევე, იურისტისა და სოციალური მუშაკის მომსახურება.

## **ძალადობისაგან დაცვის ეროვნული საკონსულტაციო ცხელი ხაზი:**

116 006 არის საკონსულტაციო ცხელი ხაზი, რომელიც ფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში, კვირის ნებისმიერ დღეს. ნომერზე დარეკვისას გაიწევა კონსულტაცია ქვეყანაში არსებული ძალადობისგან დაცვის მექანიზმებისა და სერვისების შესახებ, უზრუნველყოფილია კონფიდენციალობის დაცვა, ზარი უფასოა ყველა ოპერატორისათვის და გასაუბრება შესაძლებელია 7 სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ინგლისურად და რუსულად.

## **ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი:**

111 - არის საკონსულტაციო ცხელი ხაზი, რომელიც ფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში, კვირის ნებისმიერ დღეს. ნომერზე დარეკვისას გაიწევა კონსულტაცია ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღება შეტყობინებები ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით და ხდება გადამისამართება შესაბამის სამსახურებთან. ზარი უფასოა ყველა ოპერატორისათვის და გასაუბრება შესაძლებელია 7 სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ინგლისურად და რუსულად.

## **სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების შემთხვევაში:**

საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვნის ყოფნის შემთხვევაში, რომელიც დარჩენილია მზრუნველის გარეშე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იღებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანზე, ენიშნება კანონიერი წარმომადგენელი და ხდება ჩართვა შემდეგ პროგრამებში:

- მინდობით აღზრდის პროგრამა;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლები.

ბავშვები, რომლებიც დარჩენილები არიან მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, განთავსდებიან მინდობით აღზრდაში ან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. ამ შემთხვევაში, ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი არის სახელმწიფო სოციალური მუშაკი, რომელიც მუდმივად ახორციელებს ზრუნვის სისტემაში მყოფი არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობისა და საჭიროებების მონიტორინგს.

მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით ბავშვები ცხოვრობენ მიმღებ ოჯახებში, სადაც მაქსიმუმ შესაძლოა განთავსდეს 4 არასრულწლოვანი.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოში ფუნქციონირებს 42 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სადაც შესაძლოა განთავსდეს მაქსიმუმ 10 არასრულწლოვანი.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და  
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების  
სამმართველოს უფროსი, მეორადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელემენტრონულად



ანა დარახველიძე